საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იალნოს ქედი

იალნოს ქედი, საშუალო სიმაღლის განედური ქედი გარეკახეთში, მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. საგურამოს ქედის აღმ. გაგრძელება. იგივე ძვ. „აკრიანის მთები". სიგრძე 18 კმ. უმაღლესი წერტილია მთა იალნო (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით – „იალონი"). სიმაღლე 1874 მ.

ი. ქ. აგებულია ნეოგენური დანალექი ქანებით (კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები). საგურამოს ქედთან შეერთების ადგილზე გადაკვეთილია თბილისი–თიანეთის საავტ. გზატკეცილით.

ქედი წარმოადგენს წყალგამყოფს, ერთი მხრივ, მდ-ების – თეზმისა (არაგვის მარცხ. შენაკადი) და გორანის (ივრის მარჯვ. შენაკადი) და, მეორე მხრივ, მდ-ების – ნორიოსხევის (ლოჭინისხევის მარჯვ. შენაკადი), მარტყოფისწყლის (ლოჭინისხევის მარცხ. შენაკადი) და საცხენისის (ლოჭინისხევის მარცხ. შენაკადი).

ქედის კალთები შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით (მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და წიფლნარი). თხემზე მეორეული სუბალპ. მდელოებია.

ლ. მარუაშვილი